№ 143
ოთხშაბათი, 5 ივლისი, 1900 წ.

1877—1900

ივერია

№ 143
ოთხშაბათი, 5 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., შეორეზე—8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნეინა სალომე ადამის ასული ვაჩნაძისა შვილებითურთ და **კნეინა სოფიო იოსების ასული თუმანიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ძვირფასის მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი საყვარელის მამისას თავ.

იოსებ დიმიტრის მის ვაჩნაძისას.

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ-დღე, დილის 10 საათსა და საღამოს 7 საათზედ.

მიცვალებულს გაასვენებენ ხუთშაბათს, 6 ივლისს, წირვაზედ, დილის 9 საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში და წირვის შემდეგ დასაკრძალავად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. ვეძინის ქუჩიდგან მეორე ვეძინის გასავალი № 38 (3—138—1)

კოლეგსკი სეკრეტარი **ივანე ბესარიონის ძე ჯაველიძე** და მეუღლე მისი **ალექსანდრა მიხეილ ბერიძის ასული** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრონ ორშოკის წირვას გარდაცვალებულის ძვირფასის შვილის

ვიქტორ ივანეს ძე ჯაველიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა გარდახდილ იქმნება რვა ივლისს, ბათუმის მთავარ-ანგელოზის მიხეილის ეკკლესიაში. (1—138—1)

პირველი პერძო სამკურნალო

ექიმის ნ. ვასილიევიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდ.

დილამობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ვ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი დანგრეულებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბაქალიშვილი. $12^1/_2$,—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ჯ. ყარაპეტიანცი 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

სალამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$,—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არავანიტაკი—11—1 ს. გიუკეთელს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს ⅆ გამართავს სექციონ გეზნსტაკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდ
დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ბიბინაძე.—**ბოლის** სნეულებანი. 8—10 საათ.

ბ. ზ. მაღალაშვილი—**შინაგანი**—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, ბოლის სნეულებანი, 10—2—მდის.

ვ. ა. პოკრაშევაკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—**ნერვებისა** და **წამლობა ელექტრონთ**—11—12 საათ.

ნ. ტ. ბულიანი—**ყურისა, ყელისა და ტხვირისა**—11—12 საათ.

ვ. ზ. ფარეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—**თვალისა** 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$,—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

ი. ⅆ. ბეგთაბეგოვი—**სიფილისისა, ბანისა** და **საშარდისა**—$1^1/_2$,—2 საათ.

საღამოთი:

ⅆ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—**დედათა** სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი-4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ივანიშვილისა, № 21 (ბარანოვის ძველ-ლის პირდამარ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ ბედევანიშვილი**

ს. ქარელში

22 იულისს, 1900 წელს,
ქარელში განზრახულ წიგნთ საცავის სასარგებლოდ **ბაიმართება**

საცეკვაო საღამო

ბილეთი ჭირს მამა-კაცთათვის 2 მან. 10 კაპ., ქალებისათვის—1 მ. 10 კაპ. (3—ნ.—1)

ახალი ამბავი

∴ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ-ნს ალექსანდრე

ფელეტონი

სესილ როდსი

(ბიოგრაფიული ცნობები)
(დასასრული *)

როდსმა მიიღო თუ არა ჯემსონის ლეპეშა, იმ წამსვე უნდოდა მიეწერა ბეჩერებულიყო, მაგრამ ჯემსონმა, იცოდა-რა ეს, ტელეგრაფის მავთულები გადასჭრა. როდესაც კაპშტადტში გაისმა ჯემსონის განზრახვის ამბავი, ყველა შეშფოთდა; ჭერკულეს რობინზონმა სრულიადაც არ იცოდა, თუ იოჰანნესბურგში რამე მზადებოდა და ძალიან შეწუხდა; მაშინ გაუგზავნა ჯემსონს ბრძანება დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო, აგრეთვე სასტიკად აღუკრძალა ინგლისის ქვეშევრდომთ მიეხრობიყვნენ იმათ, ვინც მოიწადინა იარაღით შესვენა შეგობარ სახელმწიფოს მიწა-წყალში.

უკანასკნელ წუთამდე როდსს იმედი ჰქონდა, რომ საქმე სულ წაგებული არ იყო, რომ ჯემსონის შესვლა იოჰანესბურგში (ჯერ მისი დამარცხების ამბავი არ იცოდა) გამოიწვევდა ამბოხებას და ინგლისის უმაღლესი კომისარი ძალა-უნებურად გახდებოდა მომრიგებლად ბურგერსა და ინგლისელებს შორის, ინგლისიც, რასაკვირველია, ჩაერეოდა საქმეში, მაგრამ, როდსის სამწუხაროდ, საქმემ სხვა მსვლელობა მიიღო, რასაც იგი სრულიადაც არ მოელოდა.

როდსი მთელის სამინისტროთი გამოვიდა სამსახურიდამ; ბატონი ჭერკულესი წავიდა პრეტორიაში და იქ დარწმუნდა, რომ მას მეტი ალარა დარჩენია-რა, უნდა შეეხვეწოს კრიუგერს მემბოხეთა პატიებას; მთელი ღამე არ შეწყვეტილა კრება ამ საქმის თაობაზედ; მომეტებული ნაწილი კრებისა თხოულობდა მემბოხეთა სიკვდილით დასჯას, მაგრამ განსვენებულმა ეუბერმა და კრიუგერმა, როგორც იყო, სძლიეს ამ ხანაგებს და სიკვდილით დასჯა მართლა უარ-ჰყვეს.

ასე გათავდა როდსის დაწყებილება, რომელიც შესავალი გახდა აწინდელის ომისა. ძველმა მოდგმათა ურთიერთ შორის სიძულილმა გაიღვიძა ახალის ძალით და როდსის კავშირი აფრიკანდერებთან ჩაიშალა.

გავიდა თუ არა სამსახურიდგან, როდსი წავიდა ინგლისში, სადაც დაჰყო მხოლოდ ექვს დღეს, რათა ენახა თვისის ამხანაგობის წევრნი და ჩემპერლენი. დაბრუნებისას იგი ლონდონით ჩამოეთხოვა პოლიტიკას და შეუდგა წეს-რიგში მოეყვანა მიწა-წყალი ამხანაგობისა, რომელსაც მის სპატიოდ „როდეზია“ უწოდეს. იქ ოკვე იყო ორი ქალაქი: სოლსბერი და ბულუვაიო, და ეს კუთხე როდსის სასიხარულოდ მალე აყვავდა. მაგრამ ჯემსონის წყალობით აქაც ჩაინა თავი ოკმაყოფილებამ; მკვიდრნი მატაბელნი აღსდგნენ, ასე რომ როდსს, რომელიც პოლკოვნიკ კორრინგტონთან მისაშველებლად წავიდა ჯარით, რამდენიმე ხელდახელი შეტაკება მოუხდა მატაბელთა რაზმებთან, ვიდრე გზას გიკვლევდა.

ბულუვაიოში როდსს ამბავი მოეკვიდა, რომ იდუნებს თათბირი აქვთ და შენი დასწრება აუცილებლად საჭიროაო. იგი მაშინვე გიმგზავრა, თან ახლდა თარჯიმანი, კორესპონდენტი „Cape Times“-ისა და ერთიც სხვა კაცი. როდსის თანამგზავრებმა რევოლვერები წაიღეს, როდსს-კი ხელში მარტო მათრახი ეჭირა. გადმოხტნენ ცხენებიდგან მთის ძირში და შეუდგნენ ბილიეთის მთასა. იდუნების მოთავენი გამოეგებნენ წინ; ესენი იყვნენ წარმოსადეგნი შეზედულობის მოხუცნი; სალანი მისცეს როდსსა და დასხდნენ; მათ თავს ადგნენ შეიარაღებულნი მხედრნი; მათმა თათბირმა, რომელიც ადვილი შესაძლებელი იყო სისხლის ღვრით დამოლოგებულიყო, ხუთს საათს გასტანა. მოთავეთ გამოსთქვეს თვისი საჩივარი; უცბად იმით ლაპარაკი შეიწყვეტინა როდსმა და ბრძანების კილოთი წარმოსთქვა:

— მე თქვენ გაპატიებდით იმას, რომ თქვენ ჩვენ ომი გამოგვიცხადეთ, მაგრამ რად ჰხოკავდით დედაკაცებსა და ბავშვებსა; ამისათვის შეწყნარებისა ⅆ პატივების ღირსნი არა ხართ.

სიშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ კვლავ დაიწყეს ბაასი. მოხუცნი ერთსა და იმავე საჩივარს იმეორებდნენ; როდსი მოთმინებიდგან გამოვიდა და შეჰყვირა:

— ეს ყოველივე წარსულში იყო! ეხლა-ღა, ეხლა რა უნდა ვქნათ: მშვიდობიანობა თუ ომი?

კვლავ საშინელი სიჩუმე გამეფდა. ბოლოს ერთი მოხუცთგანი წამოდგა, გასტეხა შუაზე ჯოხი, რომელიც გარსევანიშვილს უთხოვნია „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისათვის გაანთავისუფლონ იგი 20 აგვისტოდგან ინსპექტორობის თანამდებობისაგან. გამგეობას შეუწყნარებია ეს თხოვნა და დაუდგენია, რომ ისტორიისა და რუსულის ენის გაკვეთილები პროგიმნაზიულ კლასებში ებარებოდეს ბ-ნს გარსევანიშვილს. ამასთან გამგეობის წევრებს ჰქონიათ განზრახვა ბ-ნ გარსევანიშვილისათვის მიენიჭებინათ უფლება დამსახურებულის მასწავლებლისა და გაკვეთილებისათვის დაენიშნათ მეტი ჯამაგირი, მაგრამ ბ-ნს გარსევანიშვილს ეს არ მოუსურვებია თავის-და სასიქადულოდ და დარჩენილა იმ ჯამაგირით, რომელიც ეძლევათ სხვა მასწავლებლებს. სკოლის დროებით გამგებლობა, რადგანაც ბ-ნი გარსევანიშვილი ამ ჟამად რუსეთში მიდის საზაფხულოდ, საზოგადოების გამგეობას ჩაუბარებია მასწავლებლის მიხეილ ომანის ძის ჩინჩალაძისათვის.

*** გუშინ, 4 ივლისს, ქალაქის რკინის გზის დირექტორმა ბ-ნმა რობმ წარუდგინა ქალაქის გამგეობას გეგმა ორ კეცის ლიანდაგისა სასახლის ქუჩისათვის. ამასთანავე იგი აცხადებს, რომ თუ ელექტრონის რკინის გზა შემოვიღეთ, მაშინ რაკი ერთი ლიანდაგია ამ ქუჩაზედ შეუძლებელი იქმნება ქალაქისათვის ისე მოკირწყვლა ქუჩისა, როგორც განზრახული აქვსო. ბ-ნი რობი სთხოვს გამგეობას ნება დამრთეთ ეხლავე გავმართო მეორე ლიანდაგი სასახლის ქუჩაზედ, უმისოდ გოლოვინის პროსპექტზედ შეუძლებელია ვაგონზედ მეტი ვამუშავოთ და ეს რიცხვი კი არ იქმნება საკმარისი

ხელში ეპყრა, დაჰყარა ნამტვრევები როდსის ფერხთა წინაშე და წარმოსთქვა:

— აი ჩემი თოფი! მე შენთა ფერხთა წინაშე დავანარცხე!

ამას სხეებიც მიჰყვნენ. ზავი ჩამოვარდა მათ შორის, რომლის მიზეზი როდსის სიმამაცე და ხალაცარი სულის ძალი იყო.

დამშვიდა რა ეს მხარე, როდსი გაემართა ინგლისში, სადაც იგი მიწვეული აყო გადასასნაგად ჯემსის თავხედური გალაშქრების საქმისა. თუმცა აფრიკანდერები ძალიან უკმაყოფილნი იყვნენ როდსისა იმისა გამო, რომ მისს მიზეზით კონტინენტ ევროპის ორს მოდგმათ შორის სისხლი დაიღვარა, მაგრამ მაინც და მაინც თავი შეიკავეს და ცუდს არაას ამბობდნენ, იცოდნენ რა, რომ სამხრეთ აფრიკისათვის ბევრი სიკეთე დასთესა, ბევრი რამ გაკეთა მისის კეთილდღეობისათვის, რომ როდსმა თვისის პირადის ვეკალობითა, გატაცებულის აზრებით, აზრებისათვის თავგანწირულებით დამსახურა თვის მტერთა შორისაც-კი პატივისცემა.

როდსს დიდის ღირსებითა და პატივით ეჭირა თავი, როდესაც ინგ-

*) იხ. „ივერია“ № 142.

მეტადრე მაშინ, როდესაც ვარდის უბნის შტოზედ დაიწყება ვაგონების მოძრაობა. დასასრულ, როცა ორი ლიანდაგი იქმნება გაწყობილი, შეძლება ვერის ხიდის შტოდგან ვაგონებმა პირდაპირ ერევნის მოედნამდე იაროსო. ბ-ნი რობინსონსთან ბოვს გამგეობას, რომ საცდელად ერთის თვით გვამართავ ამ მეორე ლიანდაგს და თუ მოუხერხებელი აღმოჩნდა, გამგეობის მოთხოვნილებისათანავე დაუყოვნებლივ ავყრი და ისევ ერთს ლიანდაგზედ ვატარებ ვაგონებსაო. ქალაქის უფროსი ინჟინერი სრულიად დასთანხმებია ბ-ნ რობის აზრს და შესაძლებელად მიუჩნევია საცდელად მეორე ლიანდაგის გაყვანა სასახლის ქუჩაზედ.

*** გუშინ, 4 ივლისს, ტფილისის გუბერნიის ბეითალს ამბავი მოუვიდა, რომ ლორის საბოჭაულოში შადინოვს ჭირით ავად გაუხდა სამი ძროხა და ერთი მათგანი მოკლულ იქმნა ადგილობრივ ბეითალის მიერ. შადინოვს უთქვამს, რომ ტფილისის მაზრაში საქონელი ვიყიდე და იმ საქონელს შემოჰყოლია ჭირეო.

*** როგორც შევიტყეთ ტფილისს საათვად-ახაურო სასწავლებელის პირველსა და მეორე მოსამზადებელ კლასებში წელს მხოლოდ 60 თავისუფალი ვაკანსია თურმე მისაღებ მოსწავლეთათვის; დანარჩენ კლასებში არც ერთი ვაკანსია არა ყოფილა.

*** უმართებელესმა სენატმა განმარტა, რომ საერობო გარდასახადი არ გაეწერება მონასტრებისა და ეკკლესიების იმ მამულებსა და შენობებს, რომელთაც შემოსავალი არა აქვს და მონასტრები ან ეკკლესია თავისს საჭიროებისათვისა ჰხმარობს.

*** ბეითალმა, რომლის ნაწილშიაც ტფილისის საყასბოც იმყოფება, 4 ივლისს განუცხადა გუბერნის ბეითალს, რომ თუ ვინიცობაა საქონლის ჭირმა იჩინა საყასბოში თავი, მე არა ვკისრულობ პასუხის მგებლობას, რადგან ქალაქის ბაგეში ჩემ მიერ დათვალიერებულს საქონელს დამლის არა ჰგავენ, როგორც ეს სავალდებულო წესებით არის დადგენილი და ამიტომ ბაკიდგან საყაბოში საკლავის მირეკვის დროს ადგილად შეიძლება ავადმყოფი საქონელიც შეურიონო. ამის გარდა იმავე სავალდებულო წესებით საკლავი საქონელი უნდა იყოდგბოდეს ბაგში, მაგრამ კი ცხვრებსა და თხებს ქუჩა და ქუჩა ჰყიდიან. ეს უნდა აღიკრძალოს, რადგან ცხვარსა და თხას ადვილად გადაავსვს ჭირი და სხვა სნეულებანი ერთის ადგილიდგან მეორეშია.

*** შაბათს, 8 ივლისს, დაბა სურამში, ბ-ნ კავსაძის ხორო კონცერტს გაჰმართავს.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს ნება დაუთავს ქალაქის მოურავის ბ-ნის ევანგულოვისათვის, რომ ორის თვით რუსეთსა და საზღვარგარეულ წავიდეს სამკურნალოდ.

*** ქალაქის გამგეობას დაუდგენია, რომ საქალაქო სასწავლებლების მასწავლებელთ ნება აქვთ მხოლოდ საზაფხულო 3 თვის ჯამაგირი გაიტანონ წინადვე და მეტი კი არას გზითაო.

*** როგორც კახეთიდგან გვატყობინებენ, წელს იქ პურს კარგი გამოსავალი თურმე აქვს.

*** როგორც ჩრდილო კავკასიიდგან იუწყებიან, შემოდგომის ნათესები თითქმის ყველგან კარგი ყოფილა, გარდა რამდენისამე ადგილისა.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 8 050 მან. გადაუდგია იმ აზრით, რომ მდ. მტკვრის შესართავთან თევზის ქარხანა იქმნას გამართული, სადაც განსაკუთრებით ორის ჯიშის თევზი უნდა მოაშენონს: ზუთხი და თართი. განზრახავ აქვთ ამ ქარხანაში ყოველ წლივ 1½ მილიონი პატარა თევზი გამოიყვანონ ხოლმე ქვირითიდგან.

*** ოდგანაც ქ. გორაში პოოგმანაზიის გახსნა ქალაქის მცხოვრებთა თვისაცა და მაზრის თავად-აზნაურობისათვისაც ერთნაირად საჭირო არის, ამისათვის ქალაქის რუმუნებულთ თავის უკანასკნელს კრებაზედ დაუდგენიათ დაავალონ ქალაქის მოურავს დიეკიხის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლს, თუ გორის მომავალს პროგიმნაზიას თავად-აზნაურობა რა დახმარებას აღმოუჩენს.

*** საბეიოლო ნაწილის გამგე ბ-ნი რემერი დღეესტნის ოლქში მიდის, რადგანაც აქ საქონლის ჭირი აღმოჩენილა.

*** მოსკოვიდგან პიატიგორსკში ჩამოსულან და აქედგან სვანეთში აპირებენ თურმე წასვლას რამდენიმე მოგზაური, რომელთაც ადგილობრივის საყინულოებისა, მცენარეულობისა და ადგილ-მდებარეობის შესწავლა აქვთ აზრად. მოგზაურობაში მონაწილეობას იღებენ: ფარმაციის მაგისტრი ივ. ს. ტყეშელაშვილი, რომელსაც ადგილობრივის სამკურნალო მცენარეების შესწავლა აქვს აზრად, ბოტანიკაზედ კომპოზიტორი იური ს. სახნოვსკი, სტუდენტი ალ. პ. კუზმინი. ამათ სვანეთში შეხვედებიან მკურნალი ე. პლეტნევი და სტუდ. ჯაფარიძე. ბ-ნს სახნოვსკის ადგილობრივის სიმღერების შესწავლა აქვს აზრად, ხოლო პლეტნევს სვანეთში მეტად გავრცელებულის, ეგრედ წოდებულ ყიფსის; მოგზაურები, ოთიკელიანარა სვანეთს, ჩამოვლენ რაჭაში, ნაქრალებს გადმოიცლიან და მერე ტყიბულსა და ქუთაისში ჩავლენ.

*** დღეესტნის სამხედრო გენერალ გუბერნატორი თავ ბარიათინსკი ტფილისიდგან 2 ივლისს წავიდა კავკაზს.

*** ის ხმა ტყეული გამოდგა, ვითომ ქიათურის რკინის გზაზე მარგანეცის ტარიფს მოუმატესო. ამ ჟამად ფუთზედ ისევ 7 კაპეიკი და არა ათი, როგორც ხმა დადიოდა.

*** ყარსის ოლქში მომხდარ ძიწის ძვრის შესახებ დაბეჭდილია „კავკაზში“: „ნიდგაის ძლიერი რუკეა დაიწყო პარასკევს, ღილის 9 საათსა და 14 წ. (29 ივნისს); რუკეა

ლისში კომისია ჩვენებას ართმევდა; საქმეში არავინ ჩაურია, ყოველივე თავისს თავზედ მიიღო და ჩემბერლენი სრულიად განათავისუფლეთ ნა პასუხის გებიდგან. ასე გასინჯეთ, ჯემსიც კი არ ჩაურია საქმეში, თუმცა მან საბატიმროში ჯდომა გარდაიხადა. როდესაც ამ მოქმედებისათვის გაჭიკეხეს და ამხანაგობის დირექტორობაც ჩამოართვეს. დაბორუდა იგი თავისს საყვარელს აფრიკაში და თავისს ოცხებას მაინც თავი არ დაანება; განაცხადა, რომ ჩემი ნატვრაა უსათუოდ ვნახო საბრეთ-აფრიკა-ფედერაციაო. საყვედურის გამოცხადება არას აწუხებდა; ჰფიქოობდა: მე სამართლიანად ვმოქმედებდი, ხოლოდ საქმე უბეიროდ დაიზადდა. ბოლოს მან განიზრახა გაეყვანა ტრანსფრიკის რკინის გზა, რომელიც შეერთებდა კაპს ქაირთან, მაგრამ ამ გზას უნდა გაევლო უცხო სახელმწიფოს მიწა წყალზედ: კონგოსა და გერმანელთა აღმოსავლეთის აფრიკაზედ. ამიტომ როდესაც გერმანიაში წავიდა; იმპერატორმა თავაზიანად მიიღო, თუმცა კი გაჭკიცხა ინგლისის საქციელი ტრანსვაალის. შესახებ. როდესაც იმპერატორთან ვერას გახდა და ხელცარიელი დაბრუნდა აფრიკაში, სადაც საქმეთა ვითარება თანდათან აწყვიდებოდა და დაჰპადა აწინდელი სისხლის ღვრა, რომელიც ამოუშალელ დადად დარჩება ინგლისისათვის და რომელიც ისე აწუხებს ინგლისის ეპემბარლენი, ვიდრე როდესი, ოომელიც ბოლოს ყაჭა გამბული იყო რკინის გზებისა და ტელეგრაფების გამართვაში უფრო, ვიდრე პოლიტიკაში. მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ ეოომი, როდესის აზრით, სასუფველი იყო, რადგანაც სწამდა: ინგლისელები გაიმარჯვებენ და ამითი ჩვენ ოცნებაც განხორციელდებაო.

როდესაც დაიწყო აწინდელი ომი ბურებთან, როდესი კაპბტადტში იყო; გაისმა თუ არა, რომ ბურებმა დაიჭირეს ნატალი და კიმბერლეისაც საფთხე ელისო, როდესი გაეშურა იქითკენ და ჩაიკეტა თავისს „ალმასთა ქალაქში“. ალყა ოთხ თვემდის განეგრძო და ეხლა გამოცხადდა, რომ როდსს მუდამ შეტაკება ჰქონდა სამხედრო მთავრობასთან, მას აღელვებდა მაგი თავმიმეფეულობა, უთანქმედობა, იგი ყურს არ უგდებდა სამხედრო მთავრობის ბრძანებასა, თვისით მოქმედებდა, აკეთებინებდა ზარბაზნებსა, მოაწყო ქალაქის და ცვის საქმე და დაჰმართა საზოგადო სამზარეულო, სადაც უფასოდ მზადდებოდა საჭელი წვენი ხალხისათვის.

ეს კაცი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ადამიანს თვისს სიძულილსაც აგრძნობინებს და პატივისცემასაც, აკვირვებდა ყველას თვისის ძმეიდა იანის შეხედულობით. იმას ისე უბრალოდ ეცვა, ისე ცოტას ჰფიქრობდა თავისს გარეგნობაზედ, ოომ კაცი ვერ იფიქრებდა, თუ ეს ის როდსი იყო, რომელიც მილიონებს ატრიალებდა და ხელთ ეჭირა ედ-ილბალი მთელის ქვეყნისა; თავი არ მოჰქონდა, ფუფუნებით ცხოვრება არ უყვარდა და ჯიბეში ერთს გროშსაც არ ატარებდა. მთელი მისი დიდი ზეძლება ერთიანად მოძრაობაში, მოქმედებაში იყო ისე, როგორც თითონ. ერთხელ კიმბერლეი მი როდსს შემდეგი ამბავი შეემთხვა: იქ რაღაც გამოფენა იყო. სესილ როდსიც მოვიდა თავისის ჩვეულებრივის ტანისამოსით და ფულის წაღება-კი დავიწყებოდა. მიისვ-მოისვა ჯიბეებში ხელი; მეკარე, რომელიც როდსს პირადად არ იცნობდა, ერთ შილინგსაც არ ენდო, არ შეუშვა გამოფენაზედ და დაუმატა: „კარგად მაინც რომ იყო ჩაცმული, გენდობოდიო“...

მისი ხასიათია სულ მოძრაობაში ყოფნა; ერთს ადგილას დიდხანს დარჩენა არ შეუძლიან; მისი ბუნება ერთად ერთულობს მოძრაობას, მოქმედებას, ადგილის გამოცვლასა; ბასოგაცრი მოგზაურობა იცის: სამის დღით ლონდონში წავა, იქიდგან ქაირში, მალტაში, დაბრუნდება ისევ ბეულუვიოში, ბეირაში და სხვანი და სხვანი. ზარშან რამდენიმე დღის განმავლობაში გაიარა მთელი ინგლისი, წავიდა ბელგიის მეფის სანახავად ბრიუსელში, იქიდგან ბერლინში გერმანიის იმპერატორთან და აქედგან ქაირში ქედივთან. ერთხელ ფიქრად მოუვიდა, რომ სულთანი უნდა ენახოვო, და მაშინვე გასწია კონსტანტინეპოლში.

სესილ როდს არ უყვარს მიღალი საზოგადოება, თითქო უფრთხის და ეშინიან მისი. ლონდონში, სადაც შესაძლებელი იყო ყველას ყურადღება მიეპყრო, ვერსად ვერ შეტიყუებდნენ. საკვირველი ის არის, რომ იგი ქალებსაც უფრთხის, ერიდება და არავის ახსოვს, რომ მას რომელსაც ქალთან დამოკიდებულება ჰქონოდეს. ერთად-ერთი ქალი, რომელსაც იგი პატივსა სცემს და უყვარს, მისი მოხუცებული დაა, რომელიც განაგებს მასს ოჯახს, ქონება-ცხოვრებას და ძმის კეთილდღეობისთვისა ჰზრუნავს. თითონ სრულიად არ ჰზრუნავს თავისის თავისათვის, შეიძლება, ეს ამოდენა მილიონების პატრონი ხან და ხან გაეჩერებაში ჩავარდეს ხოლმე, და რომ არ უწყობდეს ხელსა; იგი სრულიად არა ჰფიქრობს სახლკარის სიმშვენიერესა და მის ლამაზად მოწყობას; ერადგ ერთი მისი საზრუნავია უმშვენიერესი პარკი გროტბნურში კაპბტადტის მახლობლად, სადაც იგი ლომებსა ჰზრდის. ერთი სხვა ენიც სპირს: ვარდები უყვარს და იმით ფარეზობასა და მოვლაშია, როცა შინ არის; ბევრი სხვა და სხვა ვარდი აქვს.

ლაპარაკში უკმეხია, არავითარი ზრდილობა არა სწამს, მართალს ყველას პირში ეუბნება, არას დროს წერილებზედ პასუხს არავის აძლევს; ყოველივე საქმე დეპეშებითაც კარგად მოეწყობაო. ფული ფულად სძულს და ისე ჰხარჯავს თვის დიდს მანეთში. ამაზედ, რასაკვირველია, უფრო ეწყინა ალბეს და ალბერტელს კაცს, ე. ი. დედაკაცის ქმარს, ძაბნა დაეწყვეს სახლშიეე დამარხულა ინოკენტს. შეუგარებულნი ორივენი გამოტეხილნ დანაშაულში. გამოიბეა სწარმოებს.

*** კვირას, 2 ივლისს, საღამოს 10 საათზედ, სიონის ეკკლესიის კარებთან ჩამოკიდებული საეკკლესიო ყუღაბი გაუტეხია სპარსეთის ქვეშევრდომს ქნელ კორინელიან მელიანცს, საიდგანაც ამოუღია 5 მანეთამდე. ქურდისთვის იქვე მოეხვევია ტფილისის მოქალაქეს ვარდოსანიძეს, რომელსაც დაეჭერილი მელიანცი პოლიციისათვის გარდაეცა. პოლიციამ მელიანცი ოქმთან ერთად წარუდგინა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს, ხოლო მოპარული ფული გადასცა სიონის ეკკლესიის ეკონომოსს.

წერილი ტობანიეიდგან

—

ჩვენში ჯერ-ჯერობით მშვენიერი სამინდის უსაბა, რადგანაც თავ თავისს დროზედ მოსმხვდა ზეიმა. მკედის სამინდის ფასმა ერთხანს კარგს ალწია, ფუთი თითქმის თერთმეტ შაურამდე ავიდა, მაგრამ მაგე ისევ დაიწია; ღვინო ძლიერ გაძვირდა: შეა მაისამდე ზემო იმერეთიდგან ჩამოტანილ კარგს ღვინოს ოცადდით ორ მანეთად, დღესკი ოცისთანა ღვინო 3 მან. 60 კ. ფასობს. მაისის დამლეგ რაფხიდგან ბრეგტ კაინგა და მისა ჯაჭვრებიც; წარსულ წელთან შედარებით ახლა უფრო ეშმდგომერებიან ბარგის მოსასვლეს, მაგრამ შეიდეკედებმა წელს ბურ გაზომეტეს დარეკეფდი ფასსა: კაჭრობა დაიწყეს ათ მანეთიდგან და ძლივს-ღა კაბეკეს ბოლოს, რადგასაც ბარკი მოთავდა, 15 მანეთის მიტეგმ; შემეტეს ნაწილად 12 და 13 მანეთად ჩაიგეკეს ფუთი ბარკი, შემდეგ-კი სხვა-კან 16 მანეთად ჭეიდდეს. ბეერკან წელს ზეიეს მეოხე ჭასაკის შემდეგ გაუჭირდა ავადმყოფობა „სიეკეთოლეკ“, თუმცა თესლი შემოუტანია ეფო. მე თითოს ეოკეკლს წელს სასწავლებელში ეყოს ჭიები, რასთანაც საკეთილი ოთახიც ეაქვს მოწყობილი, სითოო საჭიროებისის დროს ოტ გრადუსამდე ამეკვს, მაგრამ წელს ჩემ ეზეიეს კაეეზ-

---

და ფულის წაღება-კი დავიწყებოდა. მიისვ-მოისვა ჯიბეებში ხელი; მეკარე, რომელიც როდსს პირადად არ იცნობდა, ერთ შილინგსაც არ ენდო, არ შეუშვა გამოფენაზედ და დაუმატა: „კარგად მაინც რომ იყო ჩაცმული, გენდობოდიო“...

მისი ხასიათია სულ მოძრაობაში ყოფნა; ერთს ადგილას დიდხანს დარჩენა არ შეუძლიან; მისი ბუნება ერთად ერთულობს მოძრაობას, მოქმედებას, ადგილის გამოცვლასა; ბასოგაცრი მოგზაურობა იცის: სამის დღით ლონდონში წავა, იქიდგან ქაირში, მალტაში, დაბრუნდება ისევ ბეულუვიოში, ბეირაში და სხვანი და სხვანი. ზარშან რამდენიმე დღის განმავლობაში გაიარა მთელი ინგლისი, წავიდა ბელგიის მეფის სანახავად ბრიუსელში, იქიდგან ბერლინში გერმანიის იმპერატორთან და აქედგან ქაირში ქედივთან. ერთხელ ფიქრად მოუვიდა, რომ სულთანი უნდა ენახოვო, და მაშინვე გასწია კონსტანტინეპოლში.

სესილ როდს არ უყვარს მიღალი საზოგადოება, თითქო უფრთხის და ეშინიან მისი. ლონდონში, სადაც შესაძლებელი იყო ყველას ყურადღება მიეპყრო, ვერსად ვერ შეტიყუებდნენ. საკვირველი ის არის, რომ იგი ქალებსაც უფრთხის, ერიდება და არავის ახსოვს, რომ მას რომელსაც ქალთან დამოკიდებულება ჰქონოდეს. ერთად-ერთი ქალი, რომელსაც იგი პატივსა სცემს და უყვარს, მისი მოხუცებული დაა, რომელიც განაგებს მასს ოჯახს, ქონება-ცხოვრებას და ძმის კეთილდღეობისთვისა ჰზრუნავს. თითონ სრულიად არ ჰზრუნავს თავისის თავისათვის, შეიძლება, ეს ამოდენა მილიონების პატრონი ხან და ხან გაეჩერებაში ჩავარდეს ხოლმე, და რომ არ უწყობდეს ხელსა; იგი სრულიად არა ჰფიქრობს სახლკარის სიმშვენიერესა და მის ლამაზად მოწყობას; ერადგ ერთი მისი საზრუნავია უმშვენიერესი პარკი გროტბნურში კაპბტადტის მახლობლად, სადაც იგი ლომებსა ჰზრდის. ერთი სხვა ენიც სპირს: ვარდები უყვარს და იმით ფარეზობასა და მოვლაშია, როცა შინ არის; ბევრი სხვა და სხვა ვარდი აქვს.

ლაპარაკში უკმეხია, არავითარი ზრდილობა არა სწამს, მართალს ყველას პირში ეუბნება, არას დროს წერილებზედ პასუხს არავის აძლევს; ყოველივე საქმე დეპეშებითაც კარგად მოეწყობაო. ფული ფულად სძულს და ისე ჰხარჯავს თვის დიდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „სიეიეოდ“ და ბარგი 20 გირვანქაო შარშანდელზედ ნაკლები მომეიღა; შარშან თუ სამ მანსლზედ 75 გირვანქა მოვიდა, წელს 55 გირვანქაზედ დადგა; რას უნდა მოვაწეროთ მიზეზი ამ ავადმყოფობისა, თვით სპაბრეშუმი სადგურზედ ვერ ჭსნის თავისს სახელმძღვანელო წიგნებსა. ბ-ნ ი. ქვითაველძეს წელს ჩვენს კუთხეში სრულიად არ დაუკალიერებია ჭიები; სასურველი-კი იყო.

19 იანვარს ტობანიერის ორ-კლასიანს სამინისტრო სასწავლებელში წლიური გამოცდა მოხდა მეხუთე განყოფილების მოსწავლეებისა, რომელნიც წელს ბარგელად ითვლებენ ამ სასწავლებელში გურსსს; მოსწავლეები იყვნენ სულ რიცხვით რვანი. გამოცდას დაესწრენ: ქვითაისის გუბერნიის სკოლა სასწავლებელთა ინსპექტორი ბ. ი. საგინი, გამნიზიის ადმინდელი გრ. კოხრეძე, ქუთაისის ბარგელ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი კარ. ბურჯანაძე, ს. ქვიტირის სასწავლებლის მასწავლებელი დ. მდიგანი, ს. ბაშის სასწავლებლის მასწავლებელი ა. ემნანოვი, ბლდ. მღვდელი ი. მამაფარა, სამტრედიის ნაწილ ბოკანელი სტ. ალშენგო და თითონ მასწავლებელი „სასწავლებელსა. გამოცდის დაწყებამდე ლაბარაკი ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება იგი ევროპიელთა და იაპონელთა ჯარებს. ამავე დროს იაპონიისა და ბრიტანეთის არტილერიამ დასავლეთ თოფხანას სროლა დაუწყო, ბოლოს იაპონელებმა აიღეს კიდეც იერიშის მიტანით, მაგრამ მტერმა უკანვე დაიბრუნა. 400 ჩინელი იქმნა მოკლული, რომელთაც ექვსი ზარბაზანი წაართვეს. იაპონიის ცხენოსანმა ჯარამ და არტილერიამ დიდი სამსახური გაუწია. საღამოთი ჩინელებმა უცხოელთა უბანს კვლავ ყუმბარა დაუშინეს. ერთი ყუმბარა ინგლისელთა ფანჩატურებში ჩავარდა და ორი კაცი მოჰკლა.

ᲕᲘᲔᲜᲐ. ავსტრიის ქვეშევრდომთა დასაცველად ჩინეთში კრეისერი „კაროლს VI“ და ნაღმიანი გემი „ასპერნი“ იქმნება გაგზავნილი.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ჩინეთში მყოფმა გერმანიის კონსულმა აცნობა შანდუნის გენერალ-გუბერნატორს, გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ-საგან დეპეშა მივიღე, რომლითაც მას პეკინიდგან განთავისუფლებულ თითოეულ კაცში სასყიდელი აღუთქვამსო. გენერალ გუბერნატორმა 30 ივნისს ის პასუხი მისცა, რომ იგი დიდადა ჰზრუნავს პეკინში მომწყვდეულ უცხოელთათვის, მაგრამ მათი განთავისუფლება ვერ მოახერხა, რადგანაც ჩინელნი აჯანყება მოხდა, თუმცა იგი დღემდის კიდევ ჰფიქრობს რაიმე იღონოს და უცხოელნი განთავისუფლოს.

ცზინანში მყოფ გერმანიის მისია უვნებლად დარჩა. გერმანიის ესკადრის უფროსი დეპეშით იუწყება ტაკუდგან 29 ივნისს, რომ 28 ივნისს ტიან-ძინის აღმოსავლეთ თოფხანას ყუმბარებს ესროდნენ, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენო. ამავე დროს იაპონელებმა ჩინეთის ქალაქის ერთი ნაწილი აიღესო. ტიან ძინი შემდგეს სურათს წარმოადგენს: რუსებს აღმოსავლეთის თოფხანა უპირავთ და მდ. პეიხოს მარცხენა ნაპირზედ არიან დაბანაკებულნი; დანარჩენნი ევროპიელი ჯარები მდინარის მარჯვენა ნაპირზედ სდგანან, გერმანელებს თავიანთის უბნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტი უპირავთ; გერმანელების უმთავრესი აზრი ის არის, რომ ტაკუში მიმავალი გზა დაიცვან, რაიცა ჯერ-ჯეროობით თავისუფლადა სრულდება ტიან-ძინში ყოველ-დღე საარტილერიო მომშველი ჯარი მოდის. ჩინელებს ქალაქის ჩრდილ ნაწილში ძველის-ძველი ციხე უპირავთ და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით არიან დაბანაკებულნი. რუსთა ბანაკიდგან ტაკუმდე ტელეგრაფი უკვე გაკეთებულია. აღმირალი ალექსეევი თავისის მთავარ შტაბით ტიან-ძინშია.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მინისტრთა საბჭოში, ელისეის სასახლეში, დღელაესსმ, 26 ივნისს, შანხაიდგან მიღებული დეპეშა წაიკითხა. საფრანგეთის კონსული ამბობს ამ დეპეშაში, რომ შანხაის ტაოტაიმ ცნობა მიიღო იმპერატორის ბრძანების შესახებ, რომლითაც „დიდის მუშტის“ მმდეგარნი დასჯილ უნდა იქმნას და საელჩოებს მფარველობა გაუწიონო. გარდა ამისა, ბრძანებაში ნათქვამია, რომ უცხოელებთან ყველა საქმეები პროვინციებში ძველებურად სწარმოიმართნენ.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. ბრიტანეთის საელჩოს მცველნი ალყად შემორტყმულს მტერს დღით თუ ღამით ხშირად ესროდნენ თავს. პირველად რომ იერიშის მიტანით სცადეს საელჩოს აღება, ჯარები გაირღვა და დიდის ზარალით იქმნენ უკუ-ქცეულნი.

ᲒᲝᲜᲙᲝᲜᲒᲘ. ლიხუნგჩანგმა შავის დროშის ყვირა ჯარის სარდლებს მიწერა-ლობანი გაუგზავნა, რომ 50,000 კაცით პეკინში წავიდნენ.

ᲡᲘᲛᲚᲐ. ბევრი ადგილობრივი მმართველი სცდილობს, რომ ნებართვა მიიღოს და თავისი რაზმები ჩინეთში გაგზავნოს.

ᲢᲘᲐᲜ ᲫᲘᲜᲘ. 25 ივნისს ადმირალი ალექსეევი მოვიდა აქ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. როგორც იუწყებიან, ხუპეისა და ხუნანის პროვინციებიდგან 2 000-მდე ჩინელი ქრისტიანე გამოქცეულა. ბოლოს დროს ქრისტიანებს ჰხოცავენ და საშინლად სტანჯავენო. „დიდის მუშტის“ ათასი კაცი ვეი-ხაი-ვეისაკენ მიდის. მთელს ქვეყანაში ყველგან დიდი მოძრაობაა.

4 ივლისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ხელმწიფე იმპერატორმ უმაღლესად კეთილ-ინება და ზღვათა მინისტრის ავადმყოფობის გამო იმის თანამდებობის დროებით აღსრულება მთავარ-შტაბის უფროს ვიცე-ადმირალს აველანს უბრძანა.

„წითელის ჯვრის“ მთავარ-გამგეობისაგან: „ჩინეთში მომხდარი საშიში ამბები „წითელის ჯვრის“ საველდებულოდ ჰყოფენ, შეუდგეს თავვის უმთავრეს დანიშნულების აღსრულებას, ე. ი. დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მკურნალობას. ორი მოძრავი საავადმყოფო უკვე გაგზავნილ იქმნა პორტ-არტურსა და ხაბაროვკაში. საშუალებაა ნახმარი, რომ „წითელი ჯვრის“ საქმეში მონაწილეობა მიიღონ ცნობილმა მკურნალებმა, გაგზავნილ იქმნან მოწყალებისანი და დამზადებულ იქმნას ყველფერი, რაც დაჭრილთა და ავადმყოფთათვის არის საჭირო. ყველა ეს-კი დიდ ფულს მოითხოვს, რომელიც წითელის ჯვრის ქონებას აღემატება, ამიტომ მთავარ გამგეობას „წითელის ჯვრისას“, მოიწვევს რა ყველას, მონაწილეობა მიიღონ საკეთილო საქმეში, იმედი აქვს, რომ მცირე წვლილით ყველა შეწევა მეომართა, რომელნიც სისხლსა ჰღვრიან. შემოწირულებანი ფულად და ნივთებით მიიღება საზოგადოების მთავარ გამგეობაში: პეტერბურგი, ინჟინერის ქუჩა, № 9 და ამ საზოგადოების ყველა დაწესებულებაში“.

ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის მე 2 ნაწილის უფროსის, ინჟ. რიეოვის დეპეშა, დონოდგან (იმიერ ბაიკალის ოლქი) 1 ივნის, დილის 9 საათზედ გამოგზავნილი: „28 ივნისს ხაილარის სადგურზედ მოვიდა ჩემთან თარჯიმანი გენერალის ძიუნსა, ჩინეთის კარგად შეიარაღებულის ჯარის (1000 კაცზედ მეტი ამ ჯარისა უკვე მოვიდა ხაილარში) უფროსისა, და გამომცხადა, რომ ციციკარის ძიან-ძიუნის წერილობითი ბრძანების თანახმად, გენერალმა ძიუნმა ბრძოლა უნდა გაუწიოს ყველა რუსს, თუ ისინი დაუყოვნებლივ არ გადავლენ საზღვარსაო. ვაცნობე-რა ეს ამმავი მთავარ ინსპექტორსა და პრიამურის გენერალ-გუბერნატორს, რუსს მუშებს ხელი აავღებინე მუშაობაზედ ჯ შევკრიბე სადგურზედ, სადაც, დ რაჯთა რაზმის უფროსთან მოლაპარაკების შემდეგ, თხრილებისა და სიმაგრეების გამართვას შეუდექით თავისს დასაცველად; იმავე დღის, 2 საათზედ, მივიღე მთავარ ინჟენერის ბრძანება, რუსეთის საზღვარზედ თავი მოუყარო გზის დასავლეთის ხუთის ნაწილის მუშებსო. შევეკითხე დასავლეთ განყოფილების უფროსს ინჟენერს ბოჩაროვს—დაუცადო თუ არა თქვენს მოსვლას ხაილარში მეთქი; დაუყოვნებლივ მიპასუხეს—დარაჯებით რუსეთის საზღვარზედ წადით, რადგანაც მე საკმაო დარაჯი მყავსო. შემდეგ ყველა მოსამსახურეებთანა და მუშებთან, რიცხვით 600 კაცთან ერთად 28 ივნისს ხაილარიდგან გამოვედი, და 30 ივნისს საღ. 5 საათზედ მშვიდობით მოვედი ძველ ცურუხაიტურში“.

ამურის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენ.—ლეიტ. გრაბაკი 1 ივლისის დეპეშით იუწყება, რომ როდესაც ხაბაროვსკიდგან ბლაგოვეშჩენსკში მიმავალმა გემმა „მიხეილმა“ ჩინეთის ქალაქ აიგუნთან გაიარა, ჩინელებმა რამდენჯერმე ესროლეს და გემს გაჩერება ანიშნეს. გემიდგან ნავით წარსული კაცებს სოფელ სანდიგაში გამოუცხადეს, რომ ბრძანებაა ამურზედ ქვეითი გემი აღარ ჩავატაროთ, და ამას გარდა, მოხელენი გემის უფროსსა და აფიცრებს იბარებენო. უფროსი არ წავიდა, იმის ნაცვლად ერთის ჯარის-კაცთან ერთად ჩინელებთან წავიდა შტაბს-კაპიტანი კრიცოვი. 1 საათზედ „მიხეილთან“ მივიდა გემი „სელენგა“, რომელზედაც იყვნენ ამურის ოლქის მოსაზღვრე კომისარი და პოდპოკოვნიკი კოლშმიდტი; აგრეთვე ყაზახთა მცირე რაზმი. პოდპ. კოლშმიდტმა უბრძანა გემებს წინ წასვლა, და რა წამს გემები გზას დაადგნენ, იმ წამსვე ჩინელებმა სამალებიდგან თოფები დაუშინეს, შემდეგ რამდენჯერმე ზარბაზნებიდგანაც ესროლეს. ყაზახებმა პასუხი გასცეს. გემი „მიხეილი“ ბლაგოვეშჩენსკში მოვიდა. ორიე გემის კეფლები და სხვა ადგილები ტყვიებითაა დაზვრეტილი. დაიჭრნენ პოდპ. კოლშმიდტი, ოთხი ყაზახი, ორი ბოცანი და ერთი ცხენი. შტაბს-კაპიტანი კრიცოვი, ჩინელების მიერ შეჭერილი, წაიყვანეს აიგუნის ამბანიუსთან, რომელმაც პირადად გამოუცხადა, ბრძანება მაცილე, რომ არც ერთი თქვენი გემი არ გაუშვიაო. შემდეგ კრიცოვი ჩინელ ჯარის კაცებთან ერთად ბლაგოვეშჩენსკში გაგზავნეს.—დაუყოვნებლივ ბლაგოვეშჩენსკიდგან გაგზავნილ იქმნა ჯარი: აღმოსავლეთ ციმბირის ბატალიონის 2 როტა, აღმოს. ციმბირის საარტილერიო ბრიგადის 3 ვზოვდი და ამურის რაზმის 100 კაცი, რათა ამ ჯარს ამურის ნაპირები ჩინელთაგან გაეწმინდა და გემების მიმოსვლა დაუბრკოლებელ ეყო.—კვირას, 2 ივნისს, ნაშუადღევს, მოულოდნელად და უმიზეზოდ ჩინეთის მხრიდგან ბლაგოვეშჩენსკს ზარბაზნებიდგანა და თოფებიდგან ძლიერი, მაგრამ აბნეული სროლა დაუწყეს, რომელმაც საღამოს ათის ნახევარ საათამდე გასტანა. ჩვენის მხრივ სამაა მოკლული, მათ შორის ერთი ჯარის-კაცი, დაჭრილი ექვსია, მათ შორის ხუთი ჯარის-კაცი. ბლაგოვეშჩენსკის მცხოვრებნი, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ქალაქის დაცვაში, სამაგითოოდ იქცეოდნენ. ქალაქის შენობანი მცირედ დაზარალდნენ. ჩინელების ზარალი არ ვუწყოთ. ჩინელები სახალინიდგან ისროდნენ ერთ სოფლიდგან. ჩვენის უყმბარებისაგან იქ ცეცხლი წაეკიდა ყაზარებსა და მრავალ საცხოვრებელ სახლს.

სამხედრო მინისტრის მიერ ვიცე-ადმირალის ალექსეევისაგან მიღებული დეპეშა 3 ივლისს: „ტიან ძინი, 26 ივნისი. დღეს უცხო ქვეყნელთა რაზმმა, რომელშიაც ორი ჩვენი როტა იღებდა მონაწილეობას, დაიპყრა დასავლეთით მდებარე თოფხანა. ჩვენ ზარალი არ მოგვასვლია.“

შორეულ აღმოსავლეთიდგან შემდეგი ამბავი მოვიდა:

28 ივნისს ნიკოლსკს უსსურიიდგან: საქმეთა ვითარება მანჯურიაში მეტად სერიოზულია, ყველგან ჩინეთის ჯარი მოკრიველებთან ერთად მოკმედებენ. ყოველს ექვს გარეშეა, რომ აწინდელი მოძრაობა სახალხო მოძრაობაა, რომელსაც მთავრობაც თანაუგრძნობს.

26 ივნისს: იაპონია ტაკუში შეერთებულ ძიერიზოს ჰგზავნის; ამასთან ერთად იაპონიის ჯარი 22 ათასამდე ავა ჯარის დასხმის გემებზედ უკვე შეუდგენენ.

29 ივნისს: ინჟენერი სვიაგინი იუწყება, რომ რკინის გზაზედ მოსამსახურენი სადგურ პოგრანიჩნიზედ წავიდნენ. მათ დარაჯნი იცავენ. რუსების გასვლასთან ერთად, ჩინელები სადგურებს სძარცვავენ და სურათს ანადგურებენ. ხარბინისაკენ მიმავალი გზა შეკრულია.

28 ივნისს ჯარკენტიდგან იუწყებია, რომ კულჯში მცირედი არეულობაა. იქ 100 ყაზახი გაიგზავნა ეზჩის დასაცავად. ტელეგრაფი ფაფუსა და პორტ-არტურს შუა 26 ივნისიდგან გფუჭებულია. შანხაიჩიფუს ლიანდაგზედ მატარებლები ჯერ დადის, მაგრამ უფუს-რიგოდ, და დღე-დღეზედ მოელიან გზის შეკრას.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამერიკა 8—10 ათასს კაცს ამზადებს ჩინეთში გასაგზავნად. თუ მეტი ჯარი მოუნდა, კონგრესის მოწვევა იქმნება საჭირო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პალატა. ბროდრიკმა, როდესაც შეეკითხენენ; განაცხადა, რომ იმ ინსტრუქციით, რომელიც ინგლისის მთავრობამ ჩინეთის სადგურზედ მყოფ უფროსს საზღვაო ოფიცერს გაუგზავნა, ყოველგვარი საქმე ამ ოფიცერმა სხვა სახელმწიფოთა გემების უფროსების თანხმობით უნდა გადაწყვეტოსო. მოლაპარაკება სხვა-და სხვა საგნების შესახებ მთავრობათაცა აქვთ. რაც შეეხება იმას, ინგლისის მთავრობამ მისცა თუ არა წინადადება სხვა სახელწოფოებს, რომ შეერთებულ ჯარის უფროსად იაპონის ოფიცერი იქმნას დანიშნულიო, ბროდრიკმა სთქვა, რომ ასეთი წინადადება არავის აღუძრავსო. ბალფურმა განაცხადა, რომ პალატას წარედგინება დასამტკიცებლად დამატებითი კრედიტი, როგორც ეფიქრობ. უკანასკნელი, სამხრეთ აფრიკის ომისათვისაო. იმედი მაქვს სთქვა ბოლოს ბალფურმა რომ სესსიის დახურვა 23 ივლისს იქმნება შესაძლებელიო.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპეშა მიიღო შანხაიზე მყოფ ბელგიის წარმომადგენელისაგან, რომლითაც მართლა მტკიცდება, რომ შეერთებულმა ჯარებმა გაიმარჯვეს ტიანძინშია.

ᲰᲘᲝᲨᲘ. აქ ხმა გავრცელდა, რომ 30 ივნისს იაპონელების უფროსობით შეერთებულმა ჯარებმა ტიანძინის ჩინეთის ნაწილი და სიმაგრე აიღეს დიდის ზარალითაო. ხმა დადის აგრეთვე, რომ შანდუნის გუბერნატორის ჯარიც შეერთებულ ჯარების წინააღმდეგ იბრძოდაო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. შანხაიში მყოფი საფრანგეთის კონსული დეპეშით იუწყება, რომ, როგორც შანხაის გუბერნატორსა და შენს უცნობებიათ, უცხო სახელმწიფოთა ელჩები 21 ივნისს უკანმოდად იყვნენ პეკინშიო.

ᲑᲔᲚᲒᲘᲜᲘ. ტიანძინში მყოფ გერმანიის კონსულის მიერ 25—27 სა და 28 ივნისს გამოგზავნილი დეპეშები იუწყება, რომ 25 ივნისს უცხოელთა უბნებს ყუმბარებს საშინლად უშენდნენო. იაპონელებმა და რუსებმა ექვსი ზარბაზანი ჩაიგდეს და 350 ჩინელი მოჰკლეს. ნემენცებისა, რუსთა და იაპონელთა ცდამ იმის შესახებ, რომ 16 ივნისს, ლამით, მტრისათვის როგორმე უკანდგან მიეერნათ და ჩინეთის ქალაქის ალმოსავლეთი ბატარეა ხელთ ეგდოთ, ამაოდ ჩაიარა; რადგანაც არხზედ ხიდი უვარგისი გამოდგა. ინგლისელებსა, ფრანგებსა და იაპონელებს რკინის გზის სადგური ექირათ; მტერი ზარალს აძლევდა. 26 ივნისს, ღილით, ჩინელებმა უცხოელთა უბნებს ზარბაზანი დაუშინეს; ჩინელებს ინგლისელების ბატარეამ დაუწყო სროლა და, როგორც ყბენებო, სიკმაო ზარალი უნდა მიეყენებინოს. 26 ივნის ბრძოლა შესწყდა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 27 ივნის ტიანძინიდგან გენერალის დარვადის მიერ გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ, როგორაც დასავლეთ თოფხანას თავს დაესხნენ, თოფხანის დასავლეთით მთელს მიდამოს ჩინელებმა წყალი მიუგდეს, რის გამო ამ მხრივ მოძრაობა სრულიად შეუძლებელი შეაქმნა. მიეალწიეთ ჩვენს აზრს, რომ მტრის ზარბაზნები თავიდგან მოგვეცალა ნ და [illegible] მტერიც დასავლეთისაკენ დახეულიყო. ამ დღის გამარჯვება მთლად იაპონელებისა და ამერიკელების უნარი იყო. ამავე დროს ინგლისელთა და ფრანგთა უბანს ჩინეთის ბატარეები ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით ყუმბარას ძლერად უშენდნენ. ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, რუსთა და ამერიკელებს ალაფერი ზარალი არ მოჰპარვიათ. დარეკილი იუწყება იმ ჩინელების თავდასხმის შესახებ, რომელზედაც წინად სეიმური იუწყებოდა და რომელიც რკინის სადგურზე მოხდა და ამბობს, რომ სადგურზე იმ ღამეს იმყოფებოდა: ასი ინგლისელი, 100 ფრანგი და 100 იაპონელი. ოთხის საათის განმავლობაში ტერი სადგურის აღებასა სცდილობდა ერთთავადა და იერიში მიჰქონდა, მაგრამ უკუქცეულ იქმნო. მტერმა 500 კაცი დაჰკარგა. ინგლისელების მხრივ მოკლულ იქმნა 3, დაჭრილია 16; ფრანგებმა და იაპონელებმა შედარებით მეტი ხალხი დაჰკარგეს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი Ვ. Ა. ᲮᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔᲚᲘ. გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲩᲐᲫᲔ